განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

MES 8 23 0001174870

18/09/2023

თბილისი

საქართველოს იმ მოქალაქის, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირის მიერ, რომელზეც გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი და რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ სწავლას განაგრძობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების წარდგენის ვადების, განხილვის წესის და საჭირო დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №326 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 12 სექტემბრის N1126423 სამსახურებრივი ბარათისა და უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 15 სექტემბრის N1162556 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №326 დადგენილების (შემდგომ - დადგენილება) ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით, საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირი, რომელზეც გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი და რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ სწავლას განაგრძობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე (შემდგომ - განმცხადებელი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (შემდგომ – სამინისტრო) 2023 წლის 18 სექტემბრიდან 2023 წლის 10 ნოემბრის 18:00 საათამდე წარადგენს განცხადებას, რომელსაც უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ასლი ან/და სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული პირადი ნომერი;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, განმცხადებლის ჩარიცხვას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.
3. განცხადებისა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას დადგენილებისა და ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ამოწმებს სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და საჭიროების შემთხვევაში ადგენს ხარვეზს, რის შესახებაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.
4. განმცხადებელი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი 2023 წლის 24 ნოემბრის 18:00 საათამდე.
5. დადგენილების ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვება შესაძლებელია თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს დადგენილებით და ამ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, 2023 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობითი ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე უფიქსირდება ,,აქტიური“ ან ,,შეჩერებული“ სტუდენტის სტატუსი.

6. სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი, განცხადებისა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების დადგენილებისა და ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას განმცხადებლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების თაობაზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი
გიორგი ამილახვარი